ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის ,,ქართული პოლიტიკა,, სპეციალური გამოცემა

მინდია უგრეხელიძე

2015 #21

სამართალი, როგორც
განზომილებათა სისტემა

სერია: სამართლებრივი პოლიტიკა

ძვირფასო მეგობრებო!

კარგი მმართველობა, ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა.

საჯარო ადმინისტრირების სფეროში სახელმწიფო, რეგიონული, უწყებრივი თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და იმაზე, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ" ისინი განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება.

ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას. რედაქცია დადგენილი წესით გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს - პარლამენტის სხდომებზე, სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე, სამეცნიერო კონფერენციებზე, სემინარებზე; ასევე, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან ამან, შეიძლება, სერიოზულად დააზარალოს როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები.

„ქართული პოლიტიკის" რედაქცია ღიაა თანამშრომლობისთვის და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.com.

გამოცემების ციფრული ვერსია საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით უსასყიდლოდ პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. აგრეთვე ის განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე - www.politlibrary.ge.

ამჯერად რედაქცია ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, სამართლის დოქტორის მინდია უგრეხელიძის ნაშრომს „სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა".

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის" განხორციელებას საქართველოში.

მინდია უგრეხელიძე

სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა

გამომცემელი: ქიული შარტავას სახელმწიფო
პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

თუ დავაკვირდებით კაცობრიობის ისტორიას მისი დასაბამიდან დღემდე, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სამართლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ყოველთვის იყო სამართალმზომელობა. უძველესი ფორმულა „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“, რომელიც ტალიონის პრინციპის სახელწოდებით არის ცნობილი, სამართალმზომელობის ფაქტს ადასტურებს სამართლის განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე, თუმცა როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა 21-ე საუკუნეში რუსეთს სამხედრო ძალის გამოყენების „არაპროპორციულობაში“ სდებს ბრალს სამხრეთ კავკასიაში შექმნილ საომარ ვითარებასთან დაკავშირებით, არსებითად იგივეა. უბრალოდ, აქ მასშტაბია გაზრდილი; ამჯერად უკვე არენაზეა „მისი უდიდებულესობა“ საერთაშორისო სამართალი.

საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა სამართლის ჩათვლით, უაღრესად ფართოდ იყენებს და მკაცრად მოითხოვს საპასუხო სამართლებრივ ღონისძიებათა და მათი შედეგების „პროპორციულობას“ ანუ თანაზომიერებას. ეს კი, ცხადია, გარკვეულ სამართალმზომელობით კონცეფციასა და მეთოდოლოგიას უნდა ემყარებოდეს, თუ არ გვინდა, რომ სამართლებრივმა ვოლუნტარიზმმა იმძლავროს.

თანაზომიერების მოთხოვნა საერთაშორისო სამართალში გადმონერგილი და დამკვიდრებულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლიდან, სადაც იგი სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად გამოიყენება და განიხილებოდა ყოველთვის. ისმება კითხვა: სამართალმზომელობა ანუ, თანამედროვე მეცნიერულ ენაზე, „ლეგიმეტრია,“ ოდენ თანაზომიერების დადგენას ემსახურება (რაც თავისთავად უდავოა), თუ რაღაც უფრო მეტია თავისი რაობითა და დანიშნულებით? მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხი, დადებითი თუ უარყოფითი, არის თუ

არა თანამედროვე ქართული სამართალი სათანადოდ აღჭურვილი იმისათვის, რომ სასურველი გაზომვები ანუ სამართალმზომელობა განახორციელოს? თუ ჰო, მაშინ რის საფუძველზე? თუ არა, რა უნდა გაკეთდეს საამისოდ?

საწყის კითხვაზე საორიენტაციო პასუხს იძლევა სამართლის სემიოტიკა. ის გარემოება, რომ საუკუნეების განმავლობაში მართლმსაჯულების სიმბოლო სასწორია, უფრო ზუსტად – თვალახვეული თემიდა სასწორით ხელში, თვალნათლივ მიანიშნებს, რომ სამართალი, ისევე როგორც მისი „ქმნა“ და „გაჩენა“ (აქედან – „განაჩენი“, „განჩინება“ და სხვ.) არ შეიძლება, შემოიფარგლებოდეს სამართალმზომელობის გამოყენებით მის მხოლოდ ერთ რომელიმე ვიწყო უბანზე ან მცირედ უჯრედში, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი. შემდგომ, არაპირდაპირ, მაგრამ წონად მტკიცებულებად ამ აზრის სასარგებლოდ უთუოდ გამოდგება ის, რომ სხვა დისციპლინებში, როგორიცაა ზუსტ მეცნიერებათაგან გეომეტრია, ხოლო ე. წ. საზოგადოებრივ და „ლიბერალურ“ მეცნიერებათა შორის სოციომეტრია, სტრუქტურული ლინგვისტიკა, მათემატიკური ლოგიკა და სხვა, „მზო-

მელობითი ოპერაციები“ არასდროს ყოფილა დაყვანილი ერთ რომელიმე სეგმენტამდე; მისი გამოყენება შესაბამისი დარგის მთელ კორპუსს ფარავდა თითქმის მთლიანად. კიდევ ერთი, დამატებითი, მაგრამ გადამწყვეტი და დამაჯერებელი საბუთი ზემორე იდეის სასარგებლოდ საკუთრივ სამართლის კომპლექსური ბუნებიდან, მისი რთული ეტიოლოგიიდან მომდინარეობს, რომლის გრაფიკული გამოსახულება პირობით შეიძლებოდა ასე წარმოგვედგინა:



გრაფიკული გამოსახულების მიხედვით, სუბსტანციურად სამართალი მორალის (ზნეობის) პოლიტიკისა და ლოგიკის ერთგვარ შენადნობს, ამალგამას წარმოადგენს, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს აუცილებელი და შესაფერისი დოზები... ამის უარყოფა ან უგულებელყოფა იმისი ტოლფასი იქნებოდა, რომ ამა თუ იმ კერძის მომზადებისას ზედმიწევნით გვცოდნოდა მისი ინგრედიენტების რაობა, თუმცა არაფრად მიგვეჩნია მათი რაოდენობა, დოზები და ურთიერთშეხამება. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მზომელობით ოპერაციასთან, რომლის ქმედითობა რაოდენობრივი მხარის ოპტიმალუ-რობის ხარისხზე იქნება ლამის მთლიანად დამოკიდებული.

სამართლის დარგში მსოფლიოში მიმდინარე შეუქცევადი დინამიკური პროცესების ფორმალიზებული სისტემების შექმნა-გამოყენების პრაქტიკული საჭიროების კვალობაზე, უბრალოდ ვერ გავექცევით თვისებრივი მახასიათებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანის, გამოსახვისა და გაზომვის აუცილებლობას. ეს პროცესი, რომელიც მათემატიკური ლოგიკის ენაზე „კვანტიფიკაციის“ სა-

ხელწოდებით არის ცნობილი, სამართალში ორ დიდ სივრცეს მოიცავს: პირველია შესაძლო კვანტიფიკაციის სფერო, მეორე – აუცილებელი კვანტიფიკაციის სფერო. პირველი გულისხმობს სამართალმზომელობით ანუ ლეგიმეტრიულ ოპერაციებს ყველგან, სადაც საკმარისია, ამისი თეორიული მოთხოვნილება და შესაძლებლობა მაინც არსებობდეს; მეორე გულისხმობს სამართლებრივ სიდიდეთა (მოცემულობათა) სამკვიდროს, რომელთა ლეგიმეტრიული გათვლა-გაანგარიშების გარეშე სამართალი საერთოდ ვერ იფუნქციონირებს. მაგრამ რა მეცნიერული არსენალი არსებობს საამისოდ?

რაიმე ორგანიზაციული ან თუნდაც წმინდა თეორიული ბაზა საქართველოში ამ მხრივ ჯერჯერობით არათუ არ არსებობს, არამედ არც გამხდარა სერიოზული მსჯელობის საგანი. არის საშიშროება, რომ ისეთი მოწინავე ქვეყანა იურისპრუდენციის განვითარების მხრივ, როგორიც საქართველოა, ამ მხრივ ჩამორჩეს და მაჩანჩალას მდგომარეობაში აღმოჩნდეს, თუ დროზე არ დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებანი.

უწინარესად, ჩემი აზრით, უნდა მოხდეს ზემოთ დასმული საკითხების ინვენტარიზაცია, შემდგომ კი მეცნიერული შესწავლა და დამუშავება, რათა მომდევნო ეტაპზე ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით მომზადდეს სათანადო სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც კვლევა-ძიებას წამოიწყებენ და წარმართავენ რამდენიმე მიმართულებით:

1. უცხოური მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა-განზოგადება;
2. მომიჯნავე და მონათესავე (მსგავს) დარგებში (მაგალითად – სოციომეტრია) მდგომარეობის გამოკვლევა;

3. სამუშაო ჰიპოთეზების, პრინციპების, ვარაუდების, ამოსავალი დებულებების, უზოგადესი პოსტუ-ლატებისა და პრეზუმფციების ფორმულირება;
4. ქართული სამართლებრივი სივრცისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გამოწვლილვითი ანალიზი და დახასიათება;
5. საკანონმდებლო სფეროს ამოცანები (პირველი განშტოება);
6. აღმასრულებელი სფეროს საჭიროებანი (მეორე განშტოება);
7. სამოსამართლო (მართლმსაჯულების) სფეროს თავისებურებანი (მესამე განშტოება);
8. საჯარო სამართლის ლეგიმეტრიული ნიში;
9. კერძო სამართალი და მისი ლეგიმეტრიული შესაძლებლობანი;

10. მატერიალური სამართლის ლეგიმეტრიული არე;
11. საპროცესო სამართლის ლეგიმეტრიული სპეციფიკა;
12. შიდა სამართლის ლეგიმეტრიული სივრცე;
13. საერთაშორისო სამართლის ლეგიმეტრიული განფენილობა.

საკვლევ-საძიებელი აქ პრაქტიკულად ამოუწურავია და უსასრულო ისევე, როგორც სამართლებრივი მატერია საერთოდ. მაგრამ ამოცანას მაინც გაგვიადვილებს, თუ დავთქვამთ, რა მიგვაჩნია საწყის დებულებად, როდესაც ლეგიმეტრიაზე ვსაუბრობთ; როგორ წარმოგვიდგენია ლეგიმეტრიის რაობა.

დასაწყისისათვის შეიძლება შევთანხმდეთ შემდეგზე: **ლეგიმეტრია არის სამართლის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სამართლის თვისებრივი მახასიათებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანის (გამოხატვის)**

მეშვეობით სამართლებრივ სიდიდეთა, მდგომარეობათა თუ პროცესების გაზომვის თავისებურებებს სამართლებრივ განზომილებათა შესაბამის სისტემაში (ან მიხედვით).

აქ გასათვალისწინებელია, რომ „ლეგიმეტრიის“ ცნება ჯერ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. იგი მხოლოდ განსაზღვრების პროცესშია და ერთ-ერთი მეცნიერული ამოცანა სწორედ ის არის, რომ დადგინდეს მისი არსებითი ნიშნები.

ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა, თუ დიდ პერსპექტივაზე გათვლილ ამ უაღრესად მნიშვნელოვან მეცნიერულ თაოსნობას საქართველოს მენციერებათა

აკადემია ჩაუდგებოდა სათავეში; იმიტომ კი არა, რომ აქ ტრადიცია უკვე არსებობს, არამედ სწორედ იმისთვის, რათა ამის ტრადიცია შეიქმნას. მით უფრო, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიას ამშვენებს ლეგენდად ქცეული იურისტების სახელები. ლეგიმეტრია რომ ტრადიციული დარგი იყოს, მაშინ მართლაც არ ეღირებოდა ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილებისათვის გვერდის ავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ ვინაიდან ლეგიმეტრია ახალშობილი დისციპლინაა, რომელიც მხოლოდ ფეხს იდგამს, გონივრული იქნება, თუ სწორედ აქ შევუდგებით მისი საძირკვლის ჩაყრას. მით უფრო, რომ საქართველოს მეცნირებათა

აკადემია სახელგანთქმულია მსოფლიოში თავისი მათე-მატიკური კვლევებით. ლეგიმეტრია კი მათემატიკასა და მათემატიკურ ლოგიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. ფაქტობრივად, იგი კომპლექსური დისციპლინაა ეთიკის, პოლიტიკისა და მათემატიკური ლოგიკის გადაკვეთაზე. ამიტომ ეს გარემოება მარტო სამართლის კი არა, არამედ მასთან შემხებლობაში მყოფი სხვა დისციპლინებისთვისაც მნიშვნელოვანი ბიძგი იქნებოდა. ამით შესაძლებელი გახდებოდა ქართული სამართლის მეცნირების უფრო ადვი-ლად გაყვანა საერთაშორისო თანამშრომლობის სივრცეში სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან ურთიერთქმედების მეშვეობით; საზოგადოდ, ქართული სამართალმცოდნეობის უფრო ღირსეული და საიმედო დამკვიდრება მსოფლიო მეცნიერების რუკაზე; ახალგაზრდობის უნიჭიერესი ნაწილის მოზიდვა სათანამშრომლოდ, რაც მათ ახალ მეცნიერულ ჰორიზონტებს დაუსახავს. უფრო მეტიც, თუ შესაბამისი ცენტრი შეიქმნება, შესაძლებელი გახდება დარგის

ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენლების მოწვევა მსოფლიოს წამყვანი მეცნიერული ცენტრებიდან, რაც ძალზე აამაღლებს ინტერესსა და კადრების მომზადების დონეს. დარწმუნებული ვარ, რომ სულ რამდენიმე წელიწადში შესაძლებელი გახდება, მოვამზადოთ ლეგიმეტრიკოსთა „მძლე გჯუფი“. ეს კი ღონიერი შენაკადი იქნება ახლებურად გაწვრთნილი და მოაზროვნე ქართველი იურისტებისა, რომელთა მომზადება უსისტემოდ კი არ უნდა ხდებოდეს სრულიად განსხვავებული პროფილისა და ტრადიციების სასწავლო დაწესებულებებში, არამედ მშობლიურ ნიადაგზე, თანაც – კარგად გააზრებული პროგრამითა და სისტემით. რაც მთავარია, ლეგიმეტრია უაღრესად ფართო მოხმარების სპეციალობა გახლავთ, რომელიც არ დაიყვანება მხოლოდ შემეცნებით დანიშნულებამდე. თეორიულთან ერთად იგი გამოყენებითი დარგია, რომელიც აუცილებელია, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა განშტოებებისათვის. იგი იმანენტურად

გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების დემოკრატიულობის ხარისხის გაზომვას (ექსპერტიზას) საგანგებოდ დამუშავებული მეთოდიკით, რაც ჩვენში დღემდე არ გამოიყენება და, ამიტომ, სამწუხაროდ, ეს ექსპერტიზები (განსაკუთრებით – საარჩევნო) ხელის ცეცებას წააგავს ბნელით მოსილ არეში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად დასაჩქარებელია საკითხის დაყენება და გადაწყვეტა ლეგიმეტრიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაარსების შესახებ. იდეისა და შემოთავაზებისადმი კეთილგანწყობილი მზაობის შემთხვევაში ჩასატარებელი იქნება წინასწარ მოსამზადებელი სამუშაო, ურომლისოდაც ვერ გაიშლება ვერც შემდგომი ორგანიზაციული და კვლევითი საქმიანობა და, მით უფრო ვერ აეწყობა შესაბამისი წრთვნის, სწავლებისა და მომზადება-გადამზადების პროცესი.

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

მინდია უგრეხელიძე

დაბადების თარიღი: 1942 წლის 19 მაისი

განათლება

1963 წ. - დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით

პროფესიული საქმიანობა

ა) ზოგადსამართლებრივი სამეცნიერო, პედაგოგიური და საგამომცემლო ასპექტები:

1963 – 1974 წწ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი;

1973 – 1976 წწ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

1976 – 1999 წწ. - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრის ლექტორი (დოცენტი);

1974 – 1976 წწ. - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე სამართლის კათედრის გამგე;

1985 – 1987 წწ. - რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მოდელის შემუშავება და წიგნად გამოცემაში საავტორო მონაწილეობა;

1995 წ. - სამეცნიერო კვლევები მაქს-პლანკის სახელობის უცხოური და საერთაშორისო სისხლის სამართლის ფრაიბურგის ინსტიტუტში (გერმანია),

1994 წ. - სისხლის სამართლის XV საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობა. რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია;

1996 წ. - კორუფციის საწინააღმდეგო სამართლებრივ ღონისძიებათა საერთაშორისო კონფერენცია რომში, იტალია;

1997 წ. - ლტოლვილთა და თავშესაფრის სამართლის II საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა ნიემეგენში (ჰოლანდია);

1997 წ. - კონფერენციაში „ჰუმანიტარული სამართლის ნორმები ეროვნულ კანონმდებლობაში" მონაწილეობა;

2001 წ. - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამართლის ჟურნალის" სარედაქციო საბჭოს წევრი;

2009 წლიდან - სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრია;

2009 წლიდან - ევროსაბჭოს სისტემაში მოქმედი თბილისის პოლიტიკური სკოლის ექსპერტია;

2011 წლიდან - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი;

2011 წლიდან - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის პროფესორი.

ბ) სამოსამართლო ასპექტები:

1965 – 1983 წწ. - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სწავლული მდივანი;

1990 – 1999 წწ. - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

1991, 1994, 1996 წლები - აშშ-ის იურისტთა ასოციაციის მოსამართლეთა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებში მონაწილეობა;

1993 - 2000, 2003, 2005 წლები - უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეთა ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;

1997 წ. - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ შესაბამისი ევროპული კონვენციის მე-11

ოქმის იმპლემენტაციისადმი მიძღვნილ კოლოკვიუმში მონაწილეობა პოტსდამში (გერმანია);

1998 წ. - ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა III საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (ოტავა, კანადა);

1999 წ. - მოსამართლეთა წვრთნის ფრანგულ პროგრამაში მონაწილეობა; ჩატარდა პარიზში საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოთა ავუების (Avoues) ეროვნული პალატის ეგიდით;

1999 – 2008 წწ. - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე;

2000 წ. - ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა IV საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (ბერნი, შვეიცარია);

2014 წ. - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს AD HOC მოსამართლე;

2015 წ. - ვენეციის კომისიის წევრი საქართველოს მხრიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა მომზადება, მიღება და გამოცემა შემდეგ საკითხებზე:

1991 წ. – „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში რესპუბლიკის სასამართლოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და ტენდენციების შესახებ";

1992 წ. – „უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დაცვის უფლების შესახებ";

1992 წ. – „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებათა შესახებ";

1994 წ. - „სასამართლო განაჩენის შესახებ";

1994 წ. – „მეწარმეთა საქმიანობის შესახებ";

1992 წ. - ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისადმი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის #R(94)12 რეკომენდაციის ქართული თარგმანის მომზადება და გამოცემა

„მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ”;

1998 წ. – „მოსამართლეთა სტატუსის ევროპული ქარტიის” თარგმნა, მომზადება და გამოცემა;

1998 წ. - ლტოლვილთა სამართლის მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციაში გაერთიანება.

გ) არასამართლებრივი ასპექტები:

1983 – 1986 წწ. - მეცნიერებისა და სასწავლებლების დეპარტამენტის გამგის პირველი მოადგილე;

1986 – 1988 წწ. - თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი;

1988 – 1990 წწ. - ყოველდღიური გაზეთის „კომუნისტის” რედაქტორის პირველი მოადგილე, შემდეგ კი ამავე გაზეთის მთავარი რედაქტორი, რომელსაც მისი ინიციატივით შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა „ახალი საქართველო“;

1994 წ. – „ქართული ენციკლოპედიის” საგამომცემლო საბჭოს წევრი;

1996 წ. - სათავეში ჩაუდგა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე სამართლის კათედრას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობა

ა) საქმიანობა და გამოცდილება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში:

1997 წ. - ადამიანის უფლებათა ცენტრის დაარსება და ორგანიზაცია საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვა საერთაშოროსო სასამართლოების გამოცდილების შესწავლის, ანალიზის, განზოგადებისა და გავრცელების მიზნით;

1993 წ. - აშშ კონსტიტუციის ქართული თარგმანის რედაქტირება ქართულად გამოცემის მიზნით;

1995 წ. - კ. ჯანდას, ჯ. მ. ბერისა და ჯ. გოლდმანის „ამერიკული დემოკრატია” - რედაქტირება ქართულად გამოცემის მიზნით;

1996 წ. – „ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდე-ბლობის დეკლარაციის” თარგმნა და გამოცემა ქართულ ენაზე;

1997 წ. - გამოცემა წიგნისა „კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა”. ამერიკული კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი;

1976 – 1999 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტებზე წაკითხული ლექციების კურსი;

1994 წ. - ლექციები ჯორჯ ტაუნის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვაშინგტონში;

1995 წ. - ლექციები პასაუს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, გერმანია;

1996 წ. - ლექციები ემორის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, აშშ;

ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ასპექტების გაშუქება რადიოსა და ტელევიზიით (რეგულარულად);

1991 წ. - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა სირაკუზაში, იტალია;

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეს, მონაწილეობა აქვს მიღებული 2500-ზე მეტი საქმის განხილვაში, აქედან 900-მდე საქმეზე - მომხსენებელ მოსამართლედ;

2001 წ. - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის (სასამართლო პრაქტიკის) გამოცემათა ბიბლიოთეკის დაარსება (კრებულები) კონკრეტულ საქმეთა კომენტირებული მიმოხილვის სახით.

ბ) საჯარო სამსახური:

1983 – 1986 წ. - მეცნიერებისა და სასწავლებლების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე;

1993 წ. - სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მართლმსაჯულების ქვეკომისიას;

1993 წ. - მისი უდიდებულესობის, ინგლისის დედოფლის მთავრობის მიერ ორგანიზებული ოფიციალური ვიზიტი გაერთიანებულ სამეფოში;

1994 – 1997 წწ. - სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის თანათავმჯდომარე;

1995 – 1999 წწ. - საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემმუშავებელი კომისიის თანათათავმჯდომარე;

1997 – 1999 წწ. - საქართველოს იუსტიციის საბჭოს ex officio წევრი;

1994 წ. - საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პროექტის ექსპერტიზა, ჩიკაგო, აშშ;

1997 წ. - საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კოდექსების ექსპერტიზა, ლიედენი, ჰოლანდია.

გ) არჩევითი თანამდებობანი:

1990 წ. - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (პარლამენტის) დეპუტატი;

1990 – 1999 წწ. - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

1996 წ. - სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ქართული ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელი;

1999 – 2009 წწ. - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე.

ჯილდოები, პრემიები, საპატიო წოდებები

1974 წ. - მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდული პრემია;

1991 წ. - მიკუთვნებული აქვს უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლის წოდება;

1990 წ. - არჩეულ იქნა ქუთაისის საპატიო მოქალაქედ;

1991 წ. - არჩეულ იქნა ოსტინის (ტექსასის შტატი, აშშ) საპატიო მოქალაქედ;

1991 წ. - არჩეულ იქნა ჰიუსტონის (ტექსასის შტატი, აშშ) საპატიო მოქალაქედ;

1996 წ. - არჩეულ იქნა პასადინას (კალიფორნიის შტატი, აშშ) საპატიო მოქალაქედ;

მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი.

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
მარინე ბუაჩიძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ზაზა კირთაძე	ლოგისტიკის სპეციალისტი
ანდრო გაფრინდაშვილი	პროგრამისტი
გიორგი მახარაშვილი	პროგრამისტი

ქიული შარტავა 1944-1993 წწ.
ეროვნული გმირი, წმინდა გიორგის ოქროს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების პატრონი, გენერალ-მაიორი

2014 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნდა ქიული შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ქიული ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მოგვიანებით მან აქვე დაიცვა დისერტაცია მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, დაფუძნდა ჯერ ახალგაზრდული პრობლემების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ - საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და პროგნოზირების სამეცნიერო ცენტრები.
მისი პატრონობით სახელმწიფო მმართველობით საქმიანობაში პირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. „სისანი", რომელმაც მთლიანად შეცვალა ქვეყნის რეგიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული პრაქტიკა.
ქიული შარტავას სახელთანაა დაკავშირებული შავნაბადზე „ახალგაზრდული ქალაქის", მდ. ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე „მზიურის", ხოლო მოგვიანებით რუსთავში უნიკალური საბავშვო რკინიგზის მშენებლობა, რომლის გაშენებაც მისი ტობალური დევნის პირობებში გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თაოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები „წითელ ხიდზე" და რუხში ქართველ-აფხაზთა და მთლიანად კავკასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იცცა.
ქიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა „პარგი მმართველობის" შესანიშნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ჭაბუკის გმირული ნაბიჯი.
მისი მოწამეობრივი ცხოვრება ღირსეულად შეაფასა მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, როდესაც განაცხადა, რომ მან „ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ურთულეს დროში, იცხოვრა ისე, თითქოს მთელ ტკივილს ღებულობდა საკუთარ თავზე".

ქიული შარტავას სახელობის
სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა
ახორციელებს "მაღლესი საკადემიური განათლების მესამე საფეხურის
(დოქტორანტურა) პროფესიულ საბაკალავრო-მაგისტრატურულ პროგრამებსა და
სამეცნიერო კვლევებს; აბრეთვე ეწევა აქტიურ საქმიანობას
ახალგაზრდა პოლიტიკოსების და საჯარო მოხელეების მომზადების,
პროფესიონალური გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და
სტაჟირების ორგანიზაციის მიმართულებით.

#21 2015 ქართული პოლიტიკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 0175, საქართველო, თბილისი,
კოსტავას ქ. 77 ვებ: doctoralschool.ge
ელ-ფოსტა: info@doctoralschool.ge ტელ: 571 169 992, 595 59 23 50